ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2062337

ნომერი: AR1332215

თარიღი : 05.08.2015

გაცემის თარიღი : 14.08.2015

გაცნობის თარიღი : 26.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ლომიძე პ/ნ 01011007093
- ვარკეთილის მე4 მკრ , 3 კვარტალი , კორ 6 ბინა 33

ორგანიზაცია:

- შპს სენატორ პანცი კოდი: 206287846

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 05 აგვისტოს #AR1332215 განცხადებით მომართეს თამაზ ლომიძემ და ჯემალ სანდუხაძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ვარკეთლი 2–სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის, შპს ელიტას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.19.36.014.469) სავაჭრო ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ხოლო, სამსახურის 2015 წლის 27 იანვრის #1701249 და 2015 წლის 30 ივნისის #1983868 ბრძანებებით შეთანხმდა კოექტირებული არქიტექტურული პროექტები და გაიცა მშენებლობის ნებართვები. 2015 წლის 30 ივნისის #1983868 ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 30 ივნისიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, დამკვეთად შპს ელიტას ნაცვლად შპს სენატორ პანცის დაფიქსირებას. 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში დამკვეთად მითითებულია შპს ელიტა. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882015424088, მომზადების თარიღი: 03/08/2015 წ., ს/კ: #01.19.36.014.469) შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ელიტა, რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განაცხადის რეგისტრაციის: #B14099773; მომზადების თარიღი: 10/10/2014 წ.; ს/კ: #206072435), წარმოადგენს ჯემალ სანდუხაძე. ხოლო, აღნაგობის უფლების მქონე პირს – შპს სენატორ პანცი, რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განაცხადის რეგისტრაციის: #B14099772; მომზადების თარიღი: 10/10/2014 წ.; ს/კ: #206287846), წარმოადგენს თამაზ ლომიძე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში დამკვეთად დაფიქსირებული პირი, რომელიც ამავდროულად არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, თანახმაა დამკვეთად დაფიქსირდეს მოსარგებლე – შპს სენატორ პანცი და ამასთან, შპს სენატორ პანცის გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში დამკვეთად შპს ელიტას ნაცვლად შპს სენატორ პანცის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებში და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: დამკვეთად შპს ელიტას ნაცვლად დაფიქსირდეს შპს სენატორ პანცი (ს/კ: #206287846);

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1983868, 2015 წლის 27 იანვრის #1701249 ბრძანებებთან და 2014 წლის 25 ივლისის #1406289 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.